

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2013 წლის საქმიანობის ანგარიში**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2013 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

**I. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმების სრულყოფა, კონსერვატორიის განვითარება**

- საანგარიშო პერიოდში უკუკავშირის მიღებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით თსკ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად იღებდა მონაწილეობას საკონსულტაციო შეხვედრებში სტუდენტთა ჯგუფებთან, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- კონსერვატორიის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ზამთრის და გაზაფხულის სესიების მონიტორინგში;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობდა პროგრამების სრულყოფისა და სილაბუსების განახლების პროცესში;
- საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმების განვითარებაზე და მოქნილი სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე მუშაობის დაწყება;
- 2013 წლის ივლისში კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტის უფროსებმა მიიღეს მონაწილეობა კონსერვატორიის საოპერო მომზადების მიმართულების სხდომაზე გამართულ შეხვედრა/დისკუსიაში, რომელიც მიემდგვნა სასწავლო კურსის „საოპერო მომზადების“ მოდიფიცირების საკითხს, რამაც ასახვა ჰპოვა 2013-2014 წლის მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმაში;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურმა სასწავლო დეპარტამენტისა და კონსერვატორიის სათათბიროს წევრებთან ერთად მიიღო მონაწილეობა საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმების განვითარების ფარგლებში მოდიფიცირებული სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების განხილვა-დახვეწაში. მუშაობა

დასრულა მოდიფიცირებული მოქნილი სასწავლო გეგმების შექმნით. მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები დამტკიცებულია თსკ სენატის სხდომაზე () მოდიფიცირებულია შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები:

- ✓ საბაკალავრო პროგრამა - კომპოზიცია
  - ✓ საბაკალავრო პროგრამა - საშემსრულებლო ხელოვნება
  - ✓ საბაკალავრო პროგრამა - ჯაზის ხელოვნება
  - ✓ საბაკალავრო პროგრამა - მუსიკა და დღევანდელიობა
  - ✓ სამაგისტრო პროგრამა - მუსიკისმცოდნეობა
  - ✓ სამაგისტრო პროგრამა - კომპოზიცია
  - ✓ სამაგისტრო პროგრამა- საშემსრულებლო ხელოვნება
- მეოთხე კვარტალში კონსერვატორიის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით მოხდა ახალი სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ამოქმედებული მოდიფიცირებული სასწავლო საგანმანათლებლო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმებში შემაჯავალი სილაბუსების დახვეწა;
  - შემუშავდა სტუდენტების ცოდნის შეფასება-შემოწმების სტანდარტები ახალი საბაკალავრო პროგრამებისათვის - „ ჯაზის ხელოვნება“ და „მუსიკა და დღევანდელიობა“ და ადრე გამომუშავებული შეფასების სტანდარტების მისადაგება მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსის სილაბუსებს;
  - შემუშავდა „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ქვესპეციალობის „ დასარტყამი ინსტრუმენტები“ სასწავლო გეგმა;
  - იანვარ-მარტში კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო მონაწილეობა კონსერვატორიის ბიბლიოთეკის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავებაში.

## II. საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) მონიტორინგი

- საანგარიშო პერიოდში სამსახური ახორციელებდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მონიტორინგს და პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობდა პროგრამების სრულყოფის პროცესში;
- სამსახურის ხელმძღვანელობით ჩატარდა საშემსრულებლო ფაკულტეტის სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობის სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსში „საოპერო მომზადება და მუშაობა რეჟისორთან“. სამსახურმა გააანალიზა სტუდენტების გამოკითხვის შედეგები და დასახა შემდგომი რელევანტური რეაგირების გზები;

- საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მომზადდა საშემსრულებლო და კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის კითხვარები სასწავლო კურსებში “სავალდებულო ფორტეპიანო“, „მუსიკის ისტორია“, „მუსიკის თეორია (სოლფეჯიო, ჰარმონია, მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი, პოლიფონია)“;
- სამსახურის ხელმძღვანელობით ჩატარდა საშემსრულებლო და მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსებში „კამერული ანსამბლი“, „ვოკალური ანსამბლი“, „საკონცერტმაისტერო დაოსტატების კლასი“, „პედაგოგიური პრაქტიკა“;
- კონსერვატორის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა დაიწყეს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ერთობლივად დასახეს შემდგომი რეაგირების გზები;
- მეოთხე კვარტალში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მომზადდა საშემსრულებლო და მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების „ჯაზის ხელოვნება“ და „მუსიკა და დღევანდელი“ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის კითხვარები. დეკემბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით განხორციელდა ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების დასადგენათ შევსებული ანკეტები გადაეცა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებს;
- მეორე სემესტრში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით ჩატარებული კონსერვატორიის ორივე ფაკულტეტის ბაკალავრებისა და მაგისტრების გამოკითხვის ანალიზის შედეგები მიეწოდა შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელებს. წამოჭრილი პრობლემები/ საკითხები/ მოსაზრებები სამსახურმა განიხილა სასწავლო კურსების წამყვან პროფესორებთან, მიაწოდა მათ რეკომენდაციები. სასწავლო პროცესის ასამაღლებლად და ხარვეზების გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა მოქმედების ერთობლივი გეგმა:

### III. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების თანამშრომლობის შედეგად დასრულა მუშაობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში აკადემიური თანამდებობების დაკავების საკონკურსო პირობებზე;

- შემუშავდა საშემსრულებლო/სამეცნიერო პროექტისა და პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ინსტრუქცია (დამტკიც. 2013 წლის 8 ნოემბრის სენატის სხდომაზე #2).

#### IV. საერთაშორისო პროექტები

- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ნორვეგიის მუსიკალური აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი პროექტი „უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდელნიზაცია თბილისის კონსერვატორიაში“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა ტემპუსის პროექტზე „`ხარისხის განვითარების სისტემები და მექანიზმების შექმნა სახელოვნებო საგანმანათლებლო უმაღლეს დაწესებულებებში“ 21-25 იანვარს მიიღო მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის - სტოკჰოლმის საოპერო აკადემია (შვედეთი), სიბელიუსის აკადემია (ფინეთი, აარჰუსის სამეფო აკადემია (დანია); ესტონეთი მუსიკისა და თეატრის აკადემია, ერევნიშ სახელმწიფო კონსერვატორია (სასომხეთი), თბილისის ა. ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი-შეხვედრებში. ხარისხის სასახურმა მოამზადა და წარუდგინა პროექტის კოორდინატოს დაწესებულებებისათვის საჭირო დოკუმენტაცია;
- საანგარიშო პერიოდში დაიყო „ლინეუს პალმეს“ პროექტი სტოკჰოლმის (შვედეთი), საუნივერსიტეტო საოპერო კოლეჯსა და თბილისის სახ. კონსერვატორიის (საოპერო მომზადების მიმართულება).

#### V. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. კონსერვატორიის სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

- 2013 წლის 13 სექტემბერს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო მონაწილეობა 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გარე და შიდა მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურაში.

#### VI. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

- საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს მოთხოვნის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად ამზადებს და დადგენილ ვადებში აგზავნის სამინისტროში კონსერვატორიაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული და გეგმის გარეშე შესრულებული სამუშაოების კვარტალურ ანგარიშებს;

სამსახური აწარმოებს ანგარიშების ანალიზს, ანალიზის შედეგები განიხილება შესაბამის სამსახურებში და მუშაობის სრულყოფის მიზნით ხდება რეკომენდაციების შემოთავაზება კონსერვატორიის სასწავლო და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის.

ანგარიშები აერთიანებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მონაცემებს:

- ✓ საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების ყველა მიმართულება;
  - ✓ საზღვარგარეთთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
  - ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
  - ✓ სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო დეპარტამენტი;
  - ✓ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი;
  - ✓ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება;
  - ✓ კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობა;
  - ✓ კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი;
  - ✓ კონსერვატორიის ბიბლიოთეკა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისთვის შეაგროვა კონსერვატორიის ერთეულებისგან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისგან, მიმართულებებისგან თვითშეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია, ცალკეული მონაცემები, რეკომენდაციები. მიღებული მასალების ანალიზის შედეგად მოამზადა ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში და დადგენილ ვადებში გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მიმართულებებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მოამზადა თსკ აკრედიტებული პროფესიული საგანმანათლებლო, მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები. დადგენილ ვადებში ანგარიშები გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

- 2013 წლის მესამე კვარტალში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო მონაწილეობა პროფესიული განათლების შესახებ კანონში ცვლელებებთან დაკავშირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვაში და რეგულაციების, რეკომენდაციების და მოსაზრებების შემუშავებაში. კერძოდ:
  - ✓ განხორციელდა კონსერვატორიაში მოქმედი პროფესიული პროგრამების სტანდარტების მისადაგება და შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან;
  - ✓ 13 აგვისტოს სამსახურმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ სემინარში, რომელიც პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურას მიეძღვნა;
  - ✓ აგვისტოში სამსახურმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ერთობლივად ჩატარებულ სემინარებში, რომლებიც პროფესიული ტესტირების, აბიტურიენტთა რეგისტრაციისა და მიღების პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა;
  - ✓ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნის თანახმად სამსახურმა კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ერთად მოამზადა პროფესიული პროგრამების დაფინანსების დაანგარიშების ფორმა (გაიგზავნა 2013 წლის 17 აგვისტოს);
- 2013 წლის 30, 31 ივლისს, 1 აგვისტოს და 14-16 აგვისტოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ჩხეიძემ მიიღო მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელიც ეძღვნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული მოწყობისა და დაფინანსების საკითხებს;
- 2013 წლის 18 სექტემბერს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო მონაწილეობა ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელიც ერთობლივი აკადემიური პროგრამების საკითხს მიეძღვნა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მონაწილეობდა კულტურის სამინისტროში არსებულ სახელოვნებო განათლების საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის მუშაობაში;
- კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში რეაგირებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს კულტურისა და სპორტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებიდან შემოსულ კორესპონდენციაზე.

**VII. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, მასტერკლასებში**

- 2013 წლის 4-7 თებერვალს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლ. მარუაშვილი და მოადგილე თ. ჩხეიძე ნორვეგიის სამუსიკო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ვიზიტით ოსლოს მუსიკალურ აკადემიაში. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ჯგუფი მუშაობდა შემდეგ საკითხებზე:
  - ✓ კურიკულუმის განვითარება და მოქნილი სასწავლო პროგრამების შექმნა,
  - ✓ კითხვარების შედეგების ანალიზი და შემდგომი რეაგირების ფორმები, ეტაპები, მექანიზმები,
  - ✓ აკადემიური პერსონალის საკონტაქტო საათების გარეშე დატვირთვის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები,
  - ✓ სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში აკადემიური თანამდებობების დაკავების საკონკურსო პირობების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- 22- 25 აპრილი, ნორვეგიის მუსიკალური აკადემიის და სახ. კონსერვატორიის ერთობლივი პროექტის “უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდერნიზაცია თბილისის კონსერვატორიაში”- ფარგლებში კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კონსერვატორიის ფაკულტეტების სამსახურების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნორვეგიის სამუსიკო აკადემიის დელეგაციის სამუშაო, საანგარიშო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში;
- 31 ივლისი-1 აგვისტო. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მიიღო მონაწილეობა სემინარში “უმაღლესი განათლების რეფორმა; საუნივერსიტეტო მოწყობის პრობლემები, საერთშორისო გამოცდილების გაზიარება”. ნორვეგიის მუსიკალური აკადემიის და სახ. კონსერვატორიის ერთობლივი პროექტის “უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდერნიზაცია თბილისის კონსერვატორიაში”- ფარგლებში ახალი მუსიკალური ტექნოლოგიების სტუდიის ვორქშოფი სტუდენტებისათვის ნორვეგიის მუსიკის აკადემიის აკადემიური სტაფის მიერ (კნუტ ჰალმრასტი);
- ოქტომბერში ნორვეგიის მუსიკალური აკადემიის და სახ. კონსერვატორიის ერთობლივი პროექტის “უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდერნიზაცია თბილისის კონსერვატორიაში” ფარგლებში განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვიზიტი ნორვეგიაში;

- 21-25 ოქტომბერს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ნორვეგიის სამუსიკო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი პროექტის “უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდერნიზაცია თბილისის კონსერვატორიაში” ფარგლებში იმყოფებოდნენ ვიზიტით ოსლოს მუსიკალურ აკადემიაში. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ჯგუფი მუშაობდა დაგეგმილი პროგრამით:
  - ✓ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის გაცნობა
  - ✓ ერთობლივი პროგრამების შემუშავების პროცესის გაცნობა
  - ✓ სამაგისტრო პროგრამის „Artistic Research“ მიზნების და ამოცანების გაცნობა, პროგრამის ლიდერთან შეხვედრა
  - ✓ საკონცერტმაისტერო დაოსტატების სამაგისტრო პროგრამის გაცნობა, პროგრამის ლიდერთან შეხვედრა. ამ პროგრამის მისაღები და სასწავლო კურსების მოთხოვნების გაცნობა
  - ✓ სიმფონიური დირიჟორობის სამაგისტრო პროგრამის ლიდერთან შეხვედრა, პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების, შედეგების მიღწევის მეთოდების გაცნობა.
  - ✓ ოსლოს სამუსიკო აკადემიის ბიბლიოთეკის დეპარტამენტთან შეხვედრა. საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების სამუსიკო რესურსების გაცნობა, საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის შესაძლებლობის განხილვა.
  - ✓ სოლფეჯიოს სასწავლო კურსის პროფესორების ლექციებზე დასწრება და მეთოდური საკითხების ირგვლივ კონსულტაციების მიღება;
- Teacher Exchange – ფარგლებში განხორციელდა ფროიდის რი ვეკრეს (ოსლოს მუსიკის აკადემიის ჩასაბერი საკრავების და კამერული მუსიკის პროფესორის) ვიზიტი თსკ-ში;
- 17-18 ოქტომბერს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ლ. მარუაშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპის კავშირის პროექტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივად ჩატარებულ ტრენინგში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასება“;
- 20 დეკემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თ. ჩხეიძემ და მოადგილემ ლ.მარუაშვილმა მიიღეს მონაწილეობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ კონფერენციაში თემაზე: „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ხედვა“.

კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად მუშაობდა ნორმატიულ დოკუმენტაციაზე, მიმდინარე რეკომენდაციებზე, ბრძანებებზე.